საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-33/ნ
2017 წლის 29 მაისი

ქ. თბილისი

„სარეზიდენტო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 4 თებერვლის №01-6/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სარეზიდენტო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 4 თებერვლის №01-6/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge; 06/02/2014; 470230000.22.035.016238) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **ბრძანების პირველ მუხლს დაემატოს 54-ე, 55-ე და 56-ე პუნქტები შემდეგი რედაქციით:**

„54. „ბავშვთა ფთიზიატრია-პულმონოლოგია“ (დანართი №54);

55. „ბავშვთა ჰემატოლოგია/ტრანსფუზიოლოგია“ (დანართი №55);

56. „ბირთვული მედიცინა“ (დანართი №56).“.

2. ბრძანებას დაემატოს №54 დანართი „ბავშვთა ფთიზიატრია-პულმონოლოგია“,№55 დანართი „ბავშვთა ჰემატოლოგია/ტრანსფუზიოლოგია“, №56 დანართი „ბირთვული მედიცინა“ თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრი **დავით სერგეენკო**